საქართველოს შსს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის სატენდერო
კომისიის სხდომის ოქმი N1

ქ. ბათუმი 8.01. 2018 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: *პოლიციის პოლკოვნიკი ლაშა გოგნიაშვილი* –საქართველოს შსს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი;

სატენდერო კომისიის წევრები: *პოლიციის პოლკოვნიკი რესან კონცელიძე* - დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

*პოლიციის პოლკოვნიკი ვახტანგ ბერიძე* - დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

*პოლიციის კაპიტანი - ზაზა დიასამიძე* - ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს უფროსი;

*პოლიციის პოლკოვნიკი გოჩა კონცელიძე* - საორგანიზაციო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი - სოფიკო ჩგანავა

## დღის წესრიგი

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, 2018 წლის დაფინანსების ფარგლებში, შსს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების (სათადარიგო ნაწილების/საცხებ-საპოხი მასალის გათვალისწინებით) შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის სატენდერო პირობების პროექტის დამტკიცება.

**მოისმინეს:**

სატენდერო კომისიის აპარატის წევრის სოფიკო ჩაგანავას გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინა 2018 წლის განმავლობაში შსს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების (სათადარიგო ნაწილების/საცხებ-საპოხი მასალის გათვალისწინებით) (CPV50100000) შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განსათავსებელი განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი, რომელიც შს მინისტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის #756 ბრძანების შესაბამისად შეთანხმებულია შსს ეკონომიკურ დეპარტამენტთან (სამხ.ბარათი N3154237; 29.12.2017) და გათვალისწინებულია მათი რეკომენდაციები.

**დაადგინეს:**

1. დამტკიცდეს სატენდერო პირობების წარმოდგენილი პროექტი;
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის მე-2 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მე-16 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომისიის თავმჯდომარე: *ლაშა გოგნიაშვილი*

კომისიის წევრები: *რესან კონცელიძე*

*ვახტანგ ბერიძე*

*ზაზა დიასამიძე*

*გოჩა კონცელიძე*

კომისიის აპარატის წევრი: სოფიკო ჩაგანავა